

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №567

2015 წლის 9 ნოემბერი

ქ. თბილისი

სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი (შემდგომში - ტექნიკური რეგლამენტი) მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას სურსათთან დაკავშირებულ ქიმიურ რისკებთან მიმართებაში.

2. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სხვადასხვა დასახელების სურსათისათვის დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.

3. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება მცენარეულ და ცხოველურ პროდუქტზე, ან მათ ნაწილებზე, რომელიც გამოიყენება როგორც გადაუმუშავებელი, ასევე გადამუშავებული სახით ან, როგორც შერეული სურსათი.

4. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება პროდუქტზე, რომლის მიმართ დადასტურებულია, რომ მისი გამოყენება ხდება:

ა) სურსათის და ცხოველის საკვების გარდა, სხვა პროდუქტის წარმოებისათვის;

ბ) დასათესად ან გასამრავლებლად.

5. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრისა და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისობის შეფასება ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში.

6. სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის სახელმწიფო კონტროლს საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), ხოლო საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული



მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრულ ტერმინებთან ერთად გამოიყენება ტერმინები, რომელთაც აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **რძის პროდუქტი** - გადამუშავებული პროდუქტი, რომელიც მიიღება ნედლი რძის გადამუშავებით ან ამ გადამუშავებული პროდუქტის შემდგომი გადამუშავების შედეგად და რომელიც მოიცავს რძის ნაწარმს ან/და რძის შემცველ პროდუქტს;

ბ) **ჩვილი ბავშვი** - ბავშვი დაბადებიდან ერთ წლამდე (12 თვის ჩათვლით);

გ) **ადრეული ასაკის ბავშვი** - ბავშვი ერთი წლიდან 3 წლამდე (36 თვის ჩათვლით);

დ) **ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის** - ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებული კვებითი დანიშნულებით, ბავშვის სიცოცხლის პირველ თვეებში და სრულად აკმაყოფილებს ამ ასაკის ბავშვთა კვებით მოთხოვნებს შესაბამისი დამატებითი კვების მიცემამდე;

ე) **დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის** - განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათი, რომელიც გამოიყენება ჩვილ ბავშვთა დამატებითი კვებისათვის და ცვლის ამ ასაკის ბავშვთა კვების რაციონში ძირითად თხევად კომპონენტს;

ვ) **რძიანი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და რძიანი დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის** - ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის, რომელიც წარმოებულია მხოლოდ ძროხის ან თხის რძის ცილისგან;

ზ) **განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათი** - დიეტური სურსათი, რომელიც სპეციალურად გადამუშავდა ან სპეციალური შედგენილობისაა და განკუთვნილია ექიმის ზედამხედველობით იმ პაციენტების დიეტურ თერაპიაში გამოყენებისათვის, რომელთაც დაქვეითებული ან შეზღუდული აქვთ ჩვეულებრივი სურსათის, ან სურსათის შემადგენელი ზოგიერთი კვებითი ელემენტის, ან მათი მეტაბოლიტების მიღების, შეთვისების, გადამუშავების, ადსორბციის და ორგანიზმიდან გამოდევნის ფუნქციონალური უნარი. იგი გამოიყენება ასევე იმ პაციენტებისათვის, რომელთა დიეტური თერაპია ვერ განხორციელდება ჩვეულებრივი რაციონის შეცვლით, ასევე სხვა განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათით ან მათი კომბინაციით;

თ) **დამაბინძურებელი (კონტამინანტი)** - სურსათში არსებული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც მიზანმიმართულად არ არის დამატებული, მაგრამ სურსათში არსებობს მისი წარმოების, გადამუშავების, შეფუთვა-დაფასოების, ტრანსპორტირების, შენახვის, ასევე ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული და ზოოტექნიკური ღონისძიებების განხორციელების, ან/და გარემოს დაბინძურების შედეგად. დამაბინძურებლებს არ განეკუთვნება მაგ.: მწერების ნაწილები, ცხოველის ბეწვი და ა.შ.

მუხლი 3. ზოგადი დებულებები

1. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის უზრუნველყოფისათვის, სურსათი დამაბინძურებლებს (კონტამინანტებს) უნდა შეიცავდეს ტოქსიკოლოგიური თვალსაზრისით მისაღებ (დასაშვებ) დონეზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის მიღწევა ხდება სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო, თევზჭერისა და წარმოების პრაქტიკით დადგენილი წესების დაცვით და სურსათის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით.

3. ბიზნესოპერატორი ვალდებულია გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სურსათის დაბინძურების შემცირების ან/და თავიდან აცილებისათვის.



4. სურსათი, რომელიც დამაბინძურებლებს (კონტამინანტებს) შეიცავს ამ ტექნიკური რეგლამენტის სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) დასაშვები მაქსიმალური ზღვარით (დანართით) განსაზღვრულ დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარზე მეტი ოდენობით, არ უნდა იქნეს განთავსებული ბაზარზე უშუალოდ მოხმარებისათვის, სხვა სურსათთან შერეული, არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც სურსათის შემადგენელი ინგრედიენტი.

5. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი გამოყენებული უნდა იქნეს, მხოლოდ სურსათის საჭმელად ვარგისი ნაწილების მიმართ, თუ დანართში სხვაგვარად არ არის მითითებული.

მუხლი 4. მშრალი (გამომშრალი), განზავებული, გადამუშავებული და შედგენილი სურსათი

1. მშრალ (გამომშრალ), განზავებულ, გადამუშავებულ და შედგენილ სურსათში (სურსათში, რომელიც შედგება ერთზე მეტი ინგრედიენტისაგან), დამაბინძურებლების (კონტამინანტების) შემცველობის მაქსიმალური ზღვრის დადგენისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) დამაბინძურებლის (კონტამინანტის) კონცენტრაციის ცვლილება გამოშრობისა და განზავების პროცესში;

ბ) დამაბინძურებლის (კონტამინანტის) კონცენტრაციის ცვლილება გადამუშავების პროცესში;

გ) შედგენილ სურსათში ინგრედიენტების შემცველობის თანაფარდობა;

დ) ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარებისას, დამაბინძურებლის (კონტამინანტის) რაოდენობის დადგენის ზღვარი და ცდომილება.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას, ბიზნესოპერატორი ვალდებულია, სააგენტოს უფლებამოსილ პირს წარუდგინოს სურსათის შრობასთან (გამოშრობასთან), განზავებასთან, გადამუშავებასა და შედგენილი სურსათისათვის ინგრედიენტების შერევის პროცედურებთან, ასევე მშრალი (გამომშრალი), განზავებული, გადამუშავებული და შედგენილი სურსათისათვის დამაბინძურებლების (კონტამინანტების) კონცენტრაციასა და განზავებასთან დაკავშირებული კონკრეტული დასაბუთება.

3. ბიზნესოპერატორის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, როდესაც სააგენტოს უფლებამოსილი პირი არასაკმარისად მიიჩნევს წარდგენილ დასაბუთებას ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით, უფლებამოსილია, ბიზნესოპერატორის მიერ წარდგენილი დასაბუთების საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

4. ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მშრალი (გამომშრალი), განზავებული, გადამუშავებული და შედგენილი სურსათისათვის არ არის დადგენილი დამაბინძურებლების (კონტამინანტების) შემცველობის განსაკუთრებული მაქსიმალური ზღვარი.

მუხლი 5. განსაკუთრებული მოთხოვნები

1. დაუშვებელია სურსათი, რომელიც არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურ ზღვარს, გამოყენებულ იქნეს ინგრედიენტის სახით სხვა დასახელების სურსათში.

2. დაუშვებელია სურსათი, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრული დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურ ზღვარს, შერეულ იქნეს სხვა სურსათში, რომელშიც დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალური ზღვარი აღემატება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ რაოდენობას.

3. დაუშვებელია სურსათი, რომელიც დამაბინძურების (კონტამინაციის) შემცირების მიზნით, ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ გადამუშავებას, შერეულ იქნეს სურსათში, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის ან გამოყენებულ იქნეს სურსათში ინგრედიენტის სახით.



4. დაუშვებელია სურსათი, რომელიც შეიცავს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართის მე-2 ნაწილით (მიკროტოქსინები) განსაზღვრულ დამაბინძურებლებს (კონტამინანტებს), დეტოქსიკაციისათვის მიზანმიმართულად დაექვემდებაროს ქიმიურ დამუშავებას.

მუხლი 6. სპეციალური მოთხოვნები მიწის თხილის, სხვა ზეთოვანი კულტურების თესლების, თხილის, მშრალი ხილის (ჩირი), ბრინჯის, სიმინდისა და სალათისათვის

1. დაშვებულია მიწის თხილი, სხვა ზეთოვანი კულტურების თესლები, თხილი, მშრალი ხილი (ჩირი), ბრინჯი და სიმინდი, რომლებიც არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართის 2.1.5, 2.1.6, 2.1.7, 2.1.8, 2.1.10 და 2.1.11 პუნქტებით დადგენილ აფლატოქსინის მაქსიმალურ ზღვარს, განთავსებულ იქნეს ბაზარზე იმ პირობით, თუ ეს სურსათი:

ა) არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის ან სურსათში ინგრედიენტის სახით გამოყენებისათვის;

ბ) შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართის 2.1.1, 2.1.2, 2.1.3, 2.1.4, 2.1.9 და 2.1.12 პუნქტებით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს;

გ) დაბინძურების (კონტამინაციის) შემცირების მიზნით, ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ გადამუშავებას, რომლის შემდეგ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართის 2.1.5, 2.1.6, 2.1.7, 2.1.8, 2.1.10 და 2.1.11 პუნქტებით განსაზღვრული მაქსიმალური ზღვარი არ არის გადაჭარბებული და ამასთანავე, დახარისხებისა და სხვა სახის ფიზიკური გადამუშავების შემდეგ არ წარმოიქმნება სხვა მავნე ნარჩენები;

დ) ეტიკეტზე შეიცავს ინფორმაციას, რომელშიც მკაფიოდ იქნება აღნიშნული სურსათის დანიშნულება და გამოყენების ინსტრუქცია - „სურსათის უშუალოდ მოხმარებისათვის ან სურსათში ინგრედიენტის სახით გამოყენებისათვის, აფლატოქსინით დაბინძურების (კონტამინაციის) შემცირების მიზნით, სურსათი ექვემდებარება დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ გადამუშავებას“ - ეს აღნიშვნა განთავსებული უნდა იქნეს თითოეულ დაფასოებულ ერთეულზე (პაკეტი, ყუთი) და თანმხლებ დოკუმენტში. პარტიის საიდენტიფიკაციო კოდი განთავსებული უნდა იქნეს თითოეულ დაფასოებულ ერთეულზე (პაკეტი, ყუთი) და თანმხლებ დოკუმენტში.

2. თუ სალათის ეტიკეტზე არ არის მითითებული, რომ იგი მოყვანილია დახურულ გრუნტში (სათბურში), მაქსიმალური ზღვარი დადგენილი უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ ღია გრუნტში მოყვანილი სალათის შესაბამისად.

მუხლი 7. სპეციალური მოთხოვნები მიწის თხილის (არაქისის), სხვა ზეთოვანი კულტურების თესლების, მათგან დამზადებული სურსათისა და ბურღულეულისათვის (მარცვლოვნებისათვის)

1. მიწის თხილის (არაქისის), სხვა ზეთოვანი კულტურების თესლები, მათგან დამზადებული სურსათისა და ბურღულეულის (მარცვლოვნების) თითოეული დაფასოებული ერთეულის (პაკეტი, ყუთი) ეტიკეტი ან თანმხლები დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც პარტიის საიდენტიფიკაციო კოდის საშუალებით უნდა ასახავდეს პირდაპირ კავშირს ტვირთის პარტიასა და თითოეულ დაფასოებულ ერთეულს (პაკეტი, ყუთი) შორის.

2. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მკაფიო აღნიშვნა, რომ სურსათი არ არის გამიზნული ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართის 2.1.5 და 2.1.11 პუნქტებით განსაზღვრული მაქსიმალური ზღვარი ვრცელდება ბაზარზე განთავსებულ მიწის თხილზე, მისგან წარმოებულ სურსათსა და ბურღულეულზე (მარცვლოვნებზე).

3. გამონაკლისის სახით, დამსხვრეული არაქისისა და სხვა ზეთოვანი კულტურების თესლისათვის, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართის 2.1.1 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ზღვარი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტვირთზე მკაფიოდ იქნება აღნიშვნა, რომ „პროდუქტი ექვემდებარება დამსხვრევას რაფინირებული მცენარეული ზეთის წარმოებისათვის“. ეს აღნიშვნა განთავსებული უნდა იქნეს თითოეულ დაფასოებულ პაკეტზე, ყუთზე და ა.შ. და თანმხლებ დოკუმენტებში. ტვირთის დანიშნულების ადგილი უნდა იყოს საწარმო, სადაც ხდება დამსხვრევა.



სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) დასაშვები მაქსიმალური ზღვარი ⁽¹⁾

ნაწილი 1: ნიტრატები

სურსათის დასახელება ⁽¹⁾		მაქსიმალური ზღვარი (NO ₃ მგ / კგ)	
1.1.	ისპანახი ახალი (<i>Spinacia oleracea</i>) ⁽²⁾		3 500
1.2	ისპანახი დაკონსერვებული, ღრმადგაყინული ან გაყინული		2 000
1.3	სალათი ახალი (<i>Latua sativa L.</i>) (ღია და დახურულ გრუნტში მოყვანილი, გარდა 1.4 პუნქტით განსაზღვრული სალათისა)	მოსავალი 1 ოქტომბრიდან 31 მარტის ჩათვლით დახურულ გრუნტში მოყვანილი ღია გრუნტში მოყვანილი 5 000 4 000 მოსავალი 1 აპრილიდან 30 სექტემბრის ჩათვლით დახურულ გრუნტში მოყვანილი ღია გრუნტში მოყვანილი 4 000 3 000	
1.4	სალათი თავხვეული	დახურულ გრუნტში მოყვანილი ღია გრუნტში მოყვანილი	2 500 2 000
1.5	სალათი რუკოლა (არაგულა, ინდაუ) (<i>Eruca sativa</i> , <i>Diplotaxis</i> sp., <i>Brassica tenuifolia</i> , <i>Sisymbrium tenuifolium</i>)	მოსავალი 1 ოქტომბრიდან 31 მარტის ჩათვლით მოსავალი 1 აპრილიდან 30 სექტემბრის ჩათვლით	7 000 6 000
1.6	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი ⁽³⁾ ⁽⁴⁾		200

ნაწილი 2. მიკოტოქსინები

სურსათის დასახელება ⁽¹⁾		მაქსიმალური სიდიდე (მკგ/კგ)		
2.1	აფლატოქსინი	B ₁	B ₁ , B ₂ , G ₁ და G ₂ საერთო რაოდენობა (ჯამი)	M ₁
2.1.1	არაქისი, სხვა ზეთოვანი კულტურების თესლები ⁽³⁶⁾, რომელიც ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებამდე დაექვემდებარა დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას, გარდა არაქისისა და სხვა ზეთოვანი კულტურების თესლისა,	8,0 ⁽⁵⁾	15,0 ⁽⁵⁾	-



	რომელიც გამოიყენება რაფინირებული მცენარეული ზეთისათვის			
2.1.2	ნუში, ფსტა, გარგარის კურკა, რომელიც ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებამდე დაექვემდებარა დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას	12,0 ⁽⁵⁾	15,0 ⁽⁵⁾	-
2.1.3	თხილი და ბრაზილიური კაკალი, რომელიც ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებამდე დაექვემდებარა დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას	8,0 ⁽⁵⁾	15,0 ⁽⁵⁾	-
2.1.4	კაკლოვანები, გარდა 2.1.2 და 2.1.3 პუნქტებში მითითებულისა, რომელიც ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებამდე ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებამდე დაექვემდებარა დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკურ დამუშავებას	5,0 ⁽⁵⁾	10,0 ⁽⁵⁾	
2.1.5	არაქისი და სხვა ზეთოვანი კულტურების თესლები ⁽³⁶⁾ , მათი გადამუშავებით დამზადებული პროდუქტები, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებისათვის, გარდა: -გადამუშავებული მცენარეული ზეთისა, რომელიც გამიზნულია რაფინირებისათვის, - რაფინირებული მცენარეული ზეთისა	2,0 ⁽⁵⁾	4,0 ⁽⁵⁾	-
2.1.6	ნუში, ფსტა, გარგარის კურკა, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებისათვის ⁽³⁷⁾ ,	8,0 ⁽⁵⁾	10,0 ⁽⁵⁾	-
2.1.7	თხილი და ბრაზილიური კაკალი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის ან სურსათში ინგრედიენტად გამოყენებისათვის ⁽³⁷⁾ ,	5,0 ⁽⁵⁾	10,0 ⁽⁵⁾	-
2.1.8	კაკლოვანები, გარდა 2.1.6 და 2.1.7 პუნქტებში მითითებულისა, მათი გადამუშავებით დამზადებული პროდუქტები, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, ან გამოიყენება როგორც სურსათის ინგრედიენტი	2,0 ⁽⁵⁾	4,0 ⁽⁵⁾	
2.1.9	მშრალი ხილი (ჩირი), გარდა ლეღვის	5,0	10,0	-



	ჩირისა, რომელიც ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებამდე დაექვემდებარა დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკური დამუშავებას, ან როგორც სურსათის ინგრედიენტი			
2.1.10	მშრალი ხილი (ჩირი), გარდა ლეღვის ჩირისა, ან მათი გადამუშავებით დამზადებული პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, ან გამოიყენება როგორც სურსათის ინგრედიენტი	2,0	4,0	-
2.1.11	ყველა სახის მარცვლოვანები და მათი გადამუშავებით დამზადებული პროდუქტები, ბურღულეულის ჩათვლით, გარდა 2.1.12, 2.1.15, და 2.1.17 პუნქტებით განსაზღვრული სურსათისა	2,0	4,0	-
2.1.12	სიმინდი და ბრინჯი, რომელიც ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებამდე დაექვემდებარა დახარისხებას ან სხვა სახის ფიზიკური დამუშავებას, ან როგორც სურსათის ინგრედიენტი	5,0	10,0	-
2.1.13	ნედლი რძე, ⁽⁶⁾ თერმულად (თბურად) დამუშავებული რძე და რძე, რომელიც გამოიყენება რძის პროდუქტების დასამზადებლად	-	-	0,050
2.1.14	სანელებლები: <i>Capsicum spp.</i> (წიწაკა - მშრალი, მთელი ან დაფქული ნაყოფი, მათ შორის მწარე წიწაკა ჩილი, დაფქვილი მწარე წიწაკა ჩილი, ბულგარული წიწაკა) <i>Piper spp.</i> (ნაყოფი, თეთრი და შავი პილპილი) <i>Myristica fragrans</i> (ჯავზი) <i>Zingiber officinale</i> (კოჭა) <i>Curcuma longa</i> (ყვითელი კოჭა), სანელებლების ნარევი, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ ზემოაღნიშნულ სანელებელს	5,0	10,0	-
2.1.15	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი ^{(3), (7)}	0,10	-	-
2.1.16	ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის, ასევე რძიანი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და რძიანი დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის ^{(4), (8)}	-	-	0.025
2.1.17	განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების დიეტური სურსათი	0,10	-	0,025



	(⁹), (¹⁰), სპეციალურად ჩვილი ბავშვებისათვის			
2.1.18	მშრალი ლეღვი (ლეღვის ჩირი)	6,0	10,0	-
2.2 ოხრატოქსინი A				
2.2.1	გადაუმუშავებელი მარცვლოვნები		5,0	
2.2.2	ყველა სახის სურსათი, დამზადებული გადაუმუშავებელი მარცვლოვნებისგან, ბურღულეული, ასევე მარცვლოვნები, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, გარდა 2.2.9, 2.2.10 და 2.2.13 პუნქტებით განსაზღვრული სურსათისა		3,0	
2.2.3	ყურძნის მარცვალი მშრალი (ქიშმიში, ჩამიჩი, უწიპწო ქიშმიში)		10,0	
2.2.4	ყავის მარცვალი მოხალული, ყავის მარცვალი დაფქვილი, გარდა ხსნადი ყავისა		5,0	
2.2.5	ხსნადი ყავა (სწრაფად ხსნადი ყავა)		10,0	
2.2.6	ღვინო (მათ შორის, შუშხუნა ღვინო, გარდა ლიქიორული ღვინოებისა და ღვინისა, რომლის სიმაგრე 15%-ზე ნაკლებია) და ხილის ღვინოები (¹¹)		2,0 (¹²)	
2.2.7	არომატიზებული ღვინო, არომატიზებულ ღვინოზე დამზადებული სასმელები და არომატიზებული ღვინის პროდუქტები - კოქტეილები (¹³)		2,0 (¹²)	
2.2.8	ყურძნის წვენი, ყურძნის წვენი - აღდგენილი კონცენტრირებული, ყურძნის ნექტარი, ყურძნის ტკბილი და კონცენტრირებული აღდგენილი ყურძნის ტკბილი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის(¹⁴)		2,0 (¹²)	
2.2.9	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი, და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი (³), (⁷)		0,50	
2.2.10	განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების დიეტური სურსათი (⁹), (¹⁰) სპეციალურად ჩვილი ბავშვებისათვის		0,50	
2.2.11	სანელებლები, მათ შორის, მშრალი სანელებლები			
	Piper spp. (ნაყოფი, თეთრი და შავი		15 მკგ/კგ	



	პილპილი) Myristica fragrans (ჯავზი) Zingiber officinale (კოჭა) Curcuma longa (ყვითელი კოჭა)	
	Capsicum spp. (წიწაკა – მშრალი, მთელი ან დაფქული ნაყოფი, მათ შორის, მწარე წიწაკა ჩილი, ბულგარული წიწაკა)	20 მკგ/კგ
	სანელებლების ნარევი, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ ზემოაღნიშნულ სანელებელს	15 მკგ/კგ
2.2.12	ძირტკბილა (<i>Glycyrrhiza glabra</i> , <i>Glycyrrhiza inflata</i>) და სხვა სანელებლები	
2.2.12.1	ძირტკბილას ფესვები, როგორც მცენარეული ნაყენის ინგრედიენტი	20 მკგ/კგ
2.2.12.2	ძირტკბილას ექსტრაქტი ⁽³⁸⁾ , რომელიც გამოიყენება სასმელებსა და საკონდიტრო ნაწარმში	80 მკგ/კგ
2.2.13	ხორბლის წებოვარა (გლუტენი), რომელიც უშუალოდ არ მიეწოდება მომხმარებელს	8,0
2.3 პატულინი		
2.3.1	ხილის წვენი, ხილის წვენი - კონცენტრირებული და აღდგენილი, ხილის ნექტარი ⁽¹⁴⁾	50
2.3.2	ალკოჰოლური სასმელები ⁽¹⁵⁾ , სიდრი და ფერმენტირებული სხვა სასმელები, დამზადებული ვაშლისგან ან ვაშლის წვენისგან	50
2.3.3	ვაშლისგან დამზადებული პროდუქტები, მათ შორის კომპოტი, ვაშლის ხილფაფა, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, გარდა 2.3.4 და 2.3.5 პუნქტებით განსაზღვრული სურსათისა	25
2.3.4	ვაშლის წვენი და ვაშლისგან დამზადებული ბლანტი (სქელი) კონსისტენციის პროდუქტები, მათ შორის ვაშლის კომპოტი, ვაშლის ხილფაფა, განკუთვნილი ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის ⁽¹⁶⁾ , რომლებიც ეტიკეტირებულია ასეთად და მიეწოდება მომხმარებელს ⁽⁴⁾	10,0
2.3.5	ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი, გარდა მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი სურსათისა ⁽³⁾ , ⁽⁴⁾	10,0
2.4 დეზოქსინივალენოლი ⁽¹⁷⁾		
2.4.1	გადაუმუშავებელი მარცვლოვნები ⁽¹⁸⁾ , ⁽¹⁹⁾ გარდა მაგარი ხორბლის, სიმინდისა და შვრიისა	1 250



2.4.2	გადაუმუშავებელი მაგარი ხორბლი და შერია ⁽¹⁸⁾ , ⁽¹⁹⁾	1 750
2.4.3	გადაუმუშავებელი სიმინდი ⁽¹⁸⁾ , გარდა გადაუმუშავებელი სიმინდისა, რომელიც განკუთვნილია სველი წესით დაფქვისათვის ⁽³³⁾ ,	1 750 ⁽²⁰⁾
2.4.4.	მარცვლოვნები ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, ფქვილი, ქათო და ღივი, როგორც საბოლოო პროდუქტი, რომელიც დამზადებულია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, გარდა 2.4.7, 2.4.8 და 2.4.9 პუნქტებით განსაზღვრული სურსათისა	750
2.4.5	მაკარონის ნაწარმი (მშრალი) ⁽²¹⁾ ,	750
2.4.6	პური (მათ შორის, მცირე ზომის პურფუნთუშეული ნაწარმი), ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, ორცხოზილა, საუზმე მარცვლოვნების ფუძეზე, ბურღულეული საუზმისათვის	500
2.4.7	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი ⁽³⁾ , ⁽⁷⁾	200
2.4.8	სიმინდის მარცვალი დაფქვილი, რომლის ნაწილაკების ზომა > 500 მიკრონზე, სასაქონლო კოდით CN 1103 13 ან 1103 20 40, სიმინდის სხვა დაფქვილი ნაწარმი, რომლის დაფქვილი ნაწილაკების ზომა აღემატება 500 მიკრონს და არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, სასაქონლო კოდით CN 1904 10 10	750 ⁽²⁰⁾
2.4.9	სიმინდის მარცვალი დაფქვილი, რომლის ნაწილაკების ზომა < 500 მიკრონზე, სასაქონლო კოდით CN 1102 20, სიმინდის სხვა დაფქვილი ნაწარმი, რომლის დაფქვილი ნაწილაკების ზომა ≤ 500 მიკრონზე და არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, სასაქონლო კოდით CN 1904 10 10	1 250 ⁽²⁰⁾
2.5 ზეარალენონი ⁽¹⁷⁾		
2.5.1	გადაუმუშავებელი მარცვლოვნები (¹⁸⁾ , ⁽¹⁹⁾ გარდა სიმინდისა	100
2.5.2	გადაუმუშავებელი სიმინდი ⁽¹⁸⁾ , გარდა გადაუმუშავებელი სიმინდისა, რომელიც განკუთვნილია სველი წესით დაფქვისათვის ⁽³³⁾ ,	350 ⁽²⁰⁾



2.5.3	მარცვლოვანები ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, ფქვილი, ქატო და ღივი, როგორც საბოლოო პროდუქტი, რომელიც დამზადებულია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, გარდა 2.5.6, 2.5.7 და 2.5.8, 2.5.9 და 2.5.10 პუნქტებით განსაზღვრული სურსათისა	75
2.5.4	ზეთი სიმინდის, რაფინირებული	400 ⁽²⁰⁾
2.5.5	პური (მათ შორის მცირე ზომის პურფუნთუშეული ნაწარმი) ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, ორცხოზილა, საუზმე მარცვლოვნების ფუძეზე, ბურღულეული საუზმისათვის, გარდა სიმინდისა და სიმინდის ბურღულისაგან დამზადებული საუზმისა	50
2.5.6	სიმინდი, განკუთვნილი ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის სიმინდისა და სიმინდის ბურღულისგან დამზადებული საუზმე	100 ⁽²⁰⁾
2.5.7	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი (გარდა სიმინდის მარცვლისა) , და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი ⁽³⁾ , ⁽⁷⁾	20
2.5.8	ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი, სიმინდის მარცვლის ფუძეზე წარმოებული სურსათი ⁽³⁾ , ⁽⁷⁾	20 ⁽²⁰⁾
2.5.9	სიმინდის მარცვალი დაფქვილი, რომლის ნაწილაკების ზომა > 500 მიკრონზე, სასაქონლო კოდით CN 1103 13 ან 1103 20 40, სიმინდის სხვა დაფქვილი ნაწარმი, რომლის დაფქვილი ნაწილაკების ზომა აღემატება 500 მიკრონს და არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, სასაქონლო კოდით CN 1904 10 10	200 ⁽²⁰⁾
2.5.10	სიმინდის მარცვალი დაფქვილი, რომლის ნაწილაკების ზომა < 500 მიკრონზე, სასაქონლო კოდით CN 1102 20, სიმინდის სხვა დაფქვილი ნაწარმი, რომლის დაფქვილი ნაწილაკების ზომა ≤ 500 მიკრონზე და არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, სასაქონლო კოდით CN 1904 10 10	300 ⁽²⁰⁾
2.6 ფუმონიზინი		B₁ და B₂-ის საერთო რაოდენობა (ჯამი)



2.6.1.	გადაუმუშავებელი სიმინდი ⁽¹⁸⁾ , გარდა გადაუმუშავებელი სიმინდისა, რომელიც განკუთვნილია სველი წესით დაფქვისათვის ⁽³³⁾ ,	4 000
2.6.2	სიმინდი, განკუთვნილი ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის სიმინდის მარცვლის ფუძეზე დამზადებული სურსათი, განკუთვნილი ადამიანის მიერ სურსათად უშუალოდ მოხმარებისათვის, გარდა 2.6.3, და 2.6.4 პუნქტებში მითითებული სურსათისა	1000
2.6.3	სიმინდისა და სიმინდის ბურღულისგან დამზადებული საუზმე	800
2.6.4	ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი, სიმინდის მარცვლის ფუძეზე წარმოებული სურსათი ⁽³⁾ , ⁽⁷⁾	200
2.6.5.	სიმინდის მარცვალი დაფქვილი, რომლის ნაწილაკების ზომა > 500 მიკრონზე, სასაქონლო კოდით CN 1103 13 ან 1103 20 40, სიმინდის სხვა დაფქვილი ნაწარმი, რომლის დაფქვილი ნაწილაკების ზომა აღემატება 500 მიკრონს და არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, სასაქონლო კოდით CN 1904 10 10	1 400
2.6.6	სიმინდის მარცვალი დაფქვილი, რომლის ნაწილაკების ზომა < 500 მიკრონზე, სასაქონლო კოდით CN 1102 20, სიმინდის სხვა დაფქვილი ნაწარმი, რომლის დაფქვილი ნაწილაკების ზომა ≤ 500 მიკრონზე და არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის, სასაქონლო კოდით CN 1904 10 10	2 000
2.7	T-2 HT-2 ⁽¹⁷⁾ ტოქსინი	T-2 და HT-2 ⁽¹⁷⁾ ტოქსინის საერთო რაოდენობა (ჯამი)
2.7.1	გადაუმუშავებელი მარცვლოვნები ⁽¹⁸⁾) და ბურღულეული	
2.8 ციტრინინი		
2.8.1	სურსათის (სასურსათო) დანამატი, ბრინჯის ფუძეზე დამზადებული, რომელიც მიიღება ბრინჯის წითელი საფუარით (<i>Monascus purpureus</i>) ფერმენტაციით	2 000
2.9	ჭვავის რქის სკლეროცეა და ჭვავის რქის ალკალოიდები	
2.9.1.	ჭვავის რქის სკლეროცეა	
2.9.1.1.	გადაუმუშავებელი მარცვლოვნები ⁽¹⁸⁾ , გარდა სიმინდისა და ბრინჯისა	0,5 გ/კგ
2.9.2	ჭვავის რქის ალკალოიდები	



ნაწილი 3. ლითონები

სურსათის დასახელება ⁽¹⁾		მაქსიმალური სიდიდე (მგ/კგ ნედლეულ წონაში)
3.1 ტყვია		
3.1.1.	ნედლი რძე ⁽⁶⁾ , თერმულად(თბურად) დამუშავებული რძე და რძე, რომელიც გამოიყენება რძის პროდუქტების დასამზადებლად	0,020
3.1.2.	ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის	
	ფხვნილის სახით ⁽³⁾ (²⁶)	0,050
	თხევადი სახით ⁽³⁾ (²⁶)	0,010
3.1.3	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი სურსათი ⁽³⁾ (²⁶), გარდა 3.1.5 პუნქტით განსაზღვრული სურსათისა	0,050
3.1.4.	განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათი ⁽⁹⁾ განკუთვნილი ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის	
	ფხვნილის სახით ⁽²⁶⁾	0,050
	თხევადი სახით ⁽²⁶⁾	0,010
3.1.5.	ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი წვენები, რომლებიც ეტიკეტირებული და რეალიზებული იქნა ასეთად, გარდა 3.1.2 და 3.1.4. პუნქტებით განსაზღვრულისა	
	თხევადი სახით ან ბიზნესოპერატორის ინსტრუქციების შესაბამისად აღსადგენი, მათ შორის, ხილის წვენები ⁽⁴⁾	0,030
	ნაყენის ან ნახარშის დასამზადებლად განკუთვნილი ⁽²⁶⁾	1.50
3.1.6.	მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის ხორცი (გარდა სუბპროდუქტებისა) ⁽⁶⁾	0,10
3.1.7.	მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სუბპროდუქტები ⁽⁶⁾	0,50
3.1.8.	თევზის ფილე (კუნთოვანი ქსოვილის ხორცი) ⁽²²⁾ (²³)	0,30
3.1.9.	თავფეხიანები ⁽⁴⁷⁾	0,30
3.1.10	კიბოსნაირები ⁽²⁴⁾ (⁴⁰)	0,50
3.1.11	ორსადგულიანი მოლუსკები ⁽²⁴⁾	1.50
3.1.12	მარცვლოვნები და ბურღულეული	0,20
3.1.13	ბოსტნეული, გარდა კომბოსტოსებრთა გვარის წარმომადგენლებისა, ბალის ფამფარასი, ფოთლოვანი ბოსტნეულის, ახალი მწვანის, სოკოსი, ზღვის წყალმცენარეებისა და ნაყოფის მქონე ბოსტნეულისა ⁽²⁵⁾ (⁴⁸)	0,10
3.1.14	კომბოსტოსებრთა გვარის წარმომადგენლები, ბალის ფამფარა, ფოთლოვანი ბოსტნეული, გარდა ახალი მწვანისა და შემდეგი სოკოებისა: • ქამა სოკო (შამპინიონი) (Agaricus bisporus) • კალმახა სოკო (ხეთამხალი) (Pleurotus ostreatus) • სოკო შიტაკი (Lentinula edodes) ⁽²⁵⁾	0,30
3.1.15	ნაყოფის მქონე ბოსტნეული	
	ტკბილი სიმინდი ⁽²⁵⁾	0,10
	გარდა ტკბილი სიმინდისა ⁽²⁵⁾	0,05
3.1.16	ხილი, გარდა მოცხარის, მოცვის, ანწლისა და მარწყვისა ⁽²⁵⁾	0,10
3.1.17	მოცხარი, მოცვი, მარწყვი და ანწლი ⁽²⁵⁾	0,20
3.1.18	ცხიმები და ზეთები, მათ შორის, რძის ცხიმი	0,10
3.1.19	ხილის წვენები, კონცენტრირებული ხილის წვენები – ალდგენილი და ხილის ნექტარი	



	მხოლოდ კენკრა და სხვა მცირე ზომის ნაყოფის მქონე ხილისგან ⁽¹⁴⁾	0,05
	სხვა ხილისგან, გარდა კენკრისა და სხვა მცირე ზომის ნაყოფის მქონე ხილისგან ⁽¹⁴⁾	0,03
3.1.20	ღვინო (მათ შორის, შუშხუნა ღვინო, გარდა ლიქიორული ღვინისა), სიდრი, მსხლის სიდრი და ხილის ღვინო ⁽¹¹⁾	
	პროდუქტი, რომელიც წარმოებულია 2001 წლის მოსავლისაგან 2015 წლის მოსავლამდე	0,20
	პროდუქტი, რომელიც წარმოებულია 2016 წლის მოსავლის შემდეგ	0,15
3.1.21	არომატიზებული ღვინო, ღვინის შემცველი არომატიზებული სასმელები და არომატიზებული ღვინის კოქტეილები ⁽¹³⁾	
	პროდუქტი, რომელიც წარმოებულია 2001 წლის მოსავლისაგან 2015 წლის მოსავლამდე	0,20
	პროდუქტი, რომელიც წარმოებულია 2016 წლის ხილის მოსავლის შემდეგ	0,15
3.1.22	სასურსათო დანამატები ⁽³⁵⁾	3,0
3.1.23	თაფლი	0,10
3.2 კადმიუმი		
3.2.1	ბოსტნეული და ხილი, გარდა ძირხვენა და ტუბერიანი ბოსტნეულისა, ფოთლოვანი ბოსტნეულისა, ახალი მწვანისა, ფოთლოვანი კომბოსტოსი, სოკოსა და წყალმცენარეებისა ⁽²⁵⁾	0,050
3.2.2.	ძირხვენა და ტუბერიანი ბოსტნეული (გარდა ნიახურის ძირისა, ძირთეთრასი, პირშუმხასა და ფამფარასი) ასევე ნიახური ⁽²⁵⁾ , კარტოფილის შემთხვევაში მაქსიმალური ზღვარი ვრცელდება გაფცქვნილ კარტოფილზე	0,10
3.2.3	ფოთლოვანი ბოსტნეული, ახალი მწვანელი, ფოთლოვანი კომბოსტო, ნიახურის ძირი, ძირთეთრა, პირშუმხა და ფამფარა, ასევე სოკოები ⁽²⁵⁾ : • ქამა სოკო (შამპინიონი) (<i>Agaricus bisporus</i>), • კალმახა სოკო (ხეთამხალი) (<i>Pleurotus ostreatus</i>) , - სოკო შიტაკი - (<i>Lentinula edodes</i>)	0,20
3.2.4	სოკოები, გარდა 3.2.3 პუნქტში მითითებული სოკოებისა ⁽²⁵⁾	1,0
3.2.5	მარცვლოვანი კულტურების მარცვალი, გარდა ხორბლისა და ბრინჯისა	0,10
3.2.6	- ხორბლის მარცვალი, ბრინჯის მარცვალი - ხორბლის ქატო და ხორბლის ღივი, უშუალო ადამინის მიერ მოხმარებისათვის - სოიოს მარცვალი	0,20
3.2.7	კაკაო-შოკოლადის ნაწარმი ⁽⁴⁵⁾ : - რძიანი შოკოლადი, რომელშიც კაკაოს შემცველობა მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით <30%; - შოკოლადი, რომელშიც კაკაოს შემცველობა მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით <50%; - რძიანი შოკოლადი, რომელშიც კაკაოს შემცველობა მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით ≥ 30%; -- შოკოლადი, რომელშიც კაკაოს შემცველობა მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით ≥ 50%; - კაკაოს ფხვნილი, რომელიც უშუალოდ მიეწოდება მომხმარებელს	0,10 0,30 0,30



	- კაკოს ფხვნილი, როგორც ინგრედიენტი სურსათისა, რომელიც მომხმარებელს მიეწოდება დამტკბარი სახით, (სასმელი შოკოლადი)	0,80
		0,60
3.2.8	მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, ღორის და ფრინველის ხორცი ⁽⁶⁾ (გარდა სუბპროდუქტებისა)	0,05
3.2.9	ხორცი ცხენის , გარდა სუბპროდუქტებისა ⁽⁶⁾	0,20
3.2.10	ღვიძლი მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, ღორის, ფრინველისა და ცხენის ⁽⁶⁾	0,50
3.2.11	თირკმელი მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, ღორის, ფრინველისა და ცხენის ⁽⁶⁾	1,0
3.2.12	თევზის ფილე (კუნთოვანი ქსოვილის ხორცი) ⁽²²⁾ ⁽²³⁾ , გარდა 3.2.13, 3.2.14 3.2.15-ში მითითებული თევზის სახეობებისა	0,05
3.2.13	შემდეგი სახეობების თევზის ფილე (კუნთოვანი ქსოვილის ხორცი) ⁽²²⁾ ⁽²³⁾ , -თინუსი (<i>Thunnus species, Euthynnus species, Katsuwonus pelamis</i>); - სკუმბრია (<i>Scomber species</i>), - წითელკუდა (<i>Sicyopterus lagocephalus</i>)	0,10
3.2.14	შემდეგი სახეობების თევზის ფილე (კუნთოვანი ქსოვილის ხორცი) ⁽²²⁾ ⁽²³⁾ , -თინუსი სკუმბრიასებრი (<i>Auxis species</i>)	0,15
3.2.15	შემდეგი სახეობების თევზის ფილე ⁽²²⁾ ⁽²³⁾ , (კუნთოვანი ქსოვილის ხორცი) -ანჩოუსი (<i>Engrulis species</i>) -შიმშერი (ხმალთევზა) (<i>Xiphias gladius</i>) -სარდინი(<i>Sardina pilchardus</i>)	0,25
3.2.16	კიბოსნაირები ⁽²⁴⁾ : დანამტებისა და მუცლის ღრუს ფილე (კუნთოვანი ქსოვილის ხორცი) ⁽⁴⁰⁾ , კიბორჩხალას და კიბორჩხალის მსგავსი კიბოსნაირებისათვის (<i>Brachyura</i> და <i>Anomura</i>) - დანამტების ფილე (კუნთოვანი ქსოვილის ხორცი)	0,50
3.2.17	ორსადგულიანი მოლუსკები ⁽²⁴⁾ ,	1,0
3.2.18	თავფეხიანები (შინაგანი ორგანოების გარეშე) ⁽²⁴⁾ ,	1,0
3.2.19	ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის ⁽⁸⁾ , ⁽²⁶⁾ : -მშრალი ნარევი, რომელიც წარმოებულია ძროხის რძის ცილისა და ცილის ჰიდროლიზატისაგან - თხევადი ნარევი, რომელიც წარმოებულია ძროხის რძის ცილისა და ცილის ჰიდროლიზატისაგან - მშრალი ნარევი, რომელიც წარმოებულია სოიოს ცილის იზოლატისაგან ცალკე ან ძროხის რძის ცილასთან ერთად -თხევადი ნარევი, რომელიც წარმოებულია სოიოს ცილის იზოლატისაგან ცალკე ან ძროხის რძის ცილასთან ერთად	0,10 0,005 0,020 0,010
3.2.20	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი	0,040



	სურსათი (), ()	
3.2.21	სურსათის (სასურსათო) დანამატები ⁽³⁵⁾ , გარდა 3.2.22 პუნქტით განსაზღვრული საკვები დანამატებისა	1,0
3.2.22	სურსათის (სასურსათო) დანამატები ⁽³⁵⁾ , რომელიც შედგება მხოლოდ, ან ძირითადად მშრალი წყალმცენარეებისაგან, ასევე, პროდუქტი, რომელიც დამზადებულია ზღვის მშრალი წყალმცენარეებისა ან მშრალი ორსადგულიანი მოლუსკებისაგან	3,0

3.3 ვერცხლისწყალი		
3.3.1	თევზის პროდუქტები ⁽²⁴⁾ თევზის ფილე (კუნთოვანი ქსოვილის ხორცი) ⁽²²⁾ , ⁽²³⁾ , გარდა 3.3.2 პუნქტებით განსაზღვრული სახეობებისა. მაქსიმალური ზღვარი კიბოსნაირებისათვის გამოიყენება სხეულის სხვადასხვა სეგმენტიდან (დანამატებიდან) და მუცლის ღრუდან მიღებულ ხორციდან მიმართებაში ⁽⁴⁰⁾ , კიბორჩხალისა და კიბორჩხალის მსგავსი კიბოსნაირებისათვის (<i>Brachyura</i> და <i>Anomura</i>), მაქსიმალური ზღვარი გამოიყენება დანამატებიდან მიღებულ ხორციდან მიმართებაში.	0,50
